


რედაქცია

გოლოვინის პრესბუტე, თავ. მურან-ბატონის სახლში კლუბის ქვემოთ.

სუფიან-მოწვევა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тип.шсть, 17 редацію «Дროба»

«დროების» ფასი

მთლიან წლით... 9 მან. სამის თვისა... 3 მან. ექვსის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.



ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მძიმეა ქვემოთ, რუსულს და სხვა ენებზე. თუ საქიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

ბამოლდის ყოველ დღე ორზაბათს ბარდ.

რედაქცია «დროებისა» დღის 5 კაპიკი

27 სექტემბერს «დროების» რედაქცია გადავა ახალს საღმრთო სიმონსონოვის კუჩავად, ნახარკოვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ტელეგრაფი

(«ჩრდილოეთის სააგენციოსი».)

21 სექტემბერს.

მედი. მეცის წარმომადგენელი გერმანიის პარლამენტში ენტუზიანი, რომელიც თანაუგრძნობს საფრანგეთსა, დაატესადეს 19 სექტემბერს, როგორც სახელმწიფოს მოდელატი.

მარში. გუშინ გერმანიის საელჩოს წინ მოხდა გერმანიის თანგრძნობის დემონსტრაცია; ხალხი უვიროდა: «გუშინჯოს უღანის პოლკოვნიკს! გუშინჯოს გერმანიის!» საფრანგეთის წინააღმდეგ დემონსტრაციის მოხდენა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოხდა, რადგანაც პრეჭექტმა დააჯერა ხალხი, შინ წასულიყვნენ.

ზაბრძანი. ხვალ ტისა წარუდგენს დეპუტატთა პალატას მოხსენებას შესახებ ნორვატიის საქმეებისა. ნორვატიის დეპუტატებს ტისამ უთხრა, რომ მას სწადიან ნორვატიის ისეთი სახელმწიფო ნიშნები დაადგინოს, რომლებსაც არავითარი ზედ-წარწერა არ ექნებათ, და მალე, წესიერების დამყარების შემდეგ, კონსტიტუცია აღადგინოს.

პარიში. ხმებია, რომ მინისტრების კრიზისი მოხდება.

პეტიტ-პრეზი. ხმებია, რომ კასპიის ძელოტილია გაუქმდება.

მოსკოვი. საბჭომ გადასწვიტა: ერთიერთ მორის ზღვევა შემოიღოს.

მარში. მეფე მოვიდა; მცხოვრებლები ოვაციებით მიეგებნენ; სასახლე დია არის ყველასათვის, ვისაც მეფის ნახვა ჰსურს.

პარიში. მინისტრების კრიზისის ხმებს გუშინ ის ხმებიც მიემატა, რომ შეიძლება გრევიმაც დაანებოს სამსახურს თავიო.

მოსკოვი. აქ გაჩენილს ხოლერას გადაძებები ავად-მოფობის თვისება ადარა აქვს; წარსულ კვირის განმავლობაში ხოლერისგან მოკვდა 10 კაცი; სიფრთხილისათვის ხმარებული განსაკუთრებითი ზომები გაუქმეს.

ბელგრადი. მეფემ წინადადება მისცა სახელმწიფო რჩევის ვიცე-პრეზიდენტს ხრისტიანს ახალი კაბინეტი შეადგინოს.

კონსტანტინოპოლი. ნელმწიფე იმპერატორი, დედოფალი და დანის

სამეფო გვარეულობა ხვალ მოვლენ აქ ისტორიული მუზეუმის გასასინჯავად; სადამოზედ სამეფო თეატრში იქმნებიან; პარასკევს ძრედენსბორგში ჯარების დახვევა იქმნება.

ბმარნი. გრაფი შუვალოვი შეტერბურგში წავიდა; გერმანიის იმპერატორმა უბოძა პირველის ხარისხის წითელი არწივის ორდენი, ბრილიანტებით მორთული.

ბელგრადი. ახალი კაბინეტი შესდგა ხრისტიანის თავს-მჯდობა-რეობით; შინაურ საქმეთა მინისტრიც იგივეა; გარეშე საქმეთა მინისტრად ბოგირევიჩი დაინიშნა.

მეფე მილანი დათხოვნილ სა-მინისტროს პრეზიდენტთან პირიპირადად მიწერილ წერილში აქებს კაბინეტს და მადლობას უცხადებს პატრიოტული მოქმედებისათვის და გარეშე პოლიტიკის საქმეებისთვის.

თბილისი, 22 სექტემბერს.

რკინის გზებზედ თუ არ მეტი, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ სასოფლო მოსეს გზებს (გზა-ტყევილებს). ჩვენ ერთხელ კიდევაც გექონდა ნათქვამი, რომ სასოფლო გზების გაყვანა ძალიან კარგად შეუძლიან თითონ სოფლის ხალხს და ხალისიანადაც გამოვლენ ამ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის შესასრულებლად, თუ ორი პირობა რიგინად იქნება

დასული, ესე იგი, თუ ხალხს მაშინ გამოიყვანენ ბევრანხელ სასოფლო, როდესაც გასხარებული მუშაობა არ არის მიწდრეგება და გენახებში და თუ გზებს მართლა იმისთანა სოფელსა და სოფელს შუა გაიყვანენ, რომელნიც ამ გზებს უფრო საქიროებენ და არა რომელიმე შეძლებულ მებატონეს ეზოს წინ. ამანვედ გექონდა ერთხელ ლაპარაკი და ხელმოკრედ აღარ შევეუდგებით; ესლა გვიდა მხოლოდ, გზათა მინისტრის ჩვენს ქვეყანაში მოსელის გამო, მკითხველს გაგახსენოთ, როგორა კეთდება ის გზები, რომელთაც «სახელმწიფო» გზები ჰქვიანთ და რომელთაც ჩვეულებრივ ინჟენერებს აბარებენ ხოლმე.

აი დამტკიცდა, რომ ამა და ამ ქალაქებს ან სოფლებს შუა გზა-ტყევილი უნდა გაკეთდესო. ინჟენერებს ეძლევათ მათის ხელობის შესაფერი სუმი ადგილის გასასინჯავად; ადგილის გასინჯვას, რასაკვირველია, ხანი და თული მოუწდება. მერე შესდგება კომისია, რომელიც გადაწყვეტილს ფულს დაუნიშნავს ინჟენერს და გზას დაულოცავს ამ სიტყვებით: «რასაც არ გასცემ შენა, გასცემ და დაკარგულია!» და ხშირად ახლად გამოჩეკილი ინჟენერი «პირნათლად» ასრულებს თავის ოსტატის ბძანებას. ში იმის ბრალი, თუ დარიგებას გადასცდა და დანიშნულის ფულის გარდა კიდევ არ მოითხოვა, ან ისე გაბრიყვდა, რომ კომისიისაგან გადაწყვეტილს ფულს მოანარჩუნა და

«დროების» ძელტონი, 23 სექტემბ.

სიცია*) (მოთხრობა)

XII

სულთი-ჯანოტმა, მურთუხამ და სიცია მშვიდობიანად გაიარეს ყველაზედ საშიში ადგილი, ოსის მიმურყოს შემწეობით იპოვნეს ფონი, გავიდნ წყალ-გალმა და იქ დაისვენეს.

მემურყოს მისცეს დაპირებული ცხენი და გამოისტუმრეს; თითონ-კი გაჩადეს ცეცხლი და მორლყოს სახლიდგან წამოდებული «გავა-დუმის» მწვადები დაურთეს.

სიცია თუმცა გონს მოსულიყო და ესმოდა, რომ საყვარელს აშორებდნენ, მაგრამ შევლაზედ იმედი გადასწყვეტდა და ხმა-ამოუღებლიე მუნჯ-სავით იჯდა. იმის პირიდგან ვერც თხოვნას, ვერც ხეწუნას, ვერც საჩივარს კაცი ვერ გაიგონებდა.

ისე გაქვავებულსავით იჯდა და

მარტო პირისანის მოძრაობაზედ და შუბლის შექმუნებაზედ შეატყობდით, რომ აღამიანია და მისი გული მოძრაობს.

სულთი-ჯანოტ ქალს სიყვარულიანად შესცქეროდა, აშკარად ეტყობოდა, რომ შეალერსება, ნუგეშისცემა უნდოდა, მაგრამ ამხანაგის ერიდებოდა და ამისთვის ისიც გაჩუმებულიყო და ჩუმად ყალიონსა სწევდა.

მურთუხა სამწვადეებს ჩასციებოდა, თითქოს მთელი გრძობა იმათ მიეპყრო და გაშმაგებით ატრიალებდა. ისიცა გრძობდა, რომ თავისის იქ ყოფნით შეყვარებულს ავიწროებდა, მაგრამ ისე ერთბაშად, უმიზეზოდ ვერ მოსცილებოდა, რადგანაც ამხანაგის წყენისა ეშინოდა.

თავჩაკრული ცხენები, რომელთათვისაც აღვირები წამოეყარათ, იქვე ძლიერს ბალახსა სძოდენ და ფრუტუნებდნენ.

— აბა, ვახშამო მზად არის, — დიძახა მურთუხამ და ხურჯინიდგან პურსა და ყველს დაუწყო ამოლაგება.

შევლაზედ უწინ საქმელი სიციას მიუტანა და წინადვე მომზადებულს «ბურას» ფართო ფოთლებზედ დაუწყო. მერე მოუჯდა თავის ამხანაგს და დაიწყეს ვახშამობა.

რამდენათაც მურთუხა მადიანად და გამგებლებული სქამდა, იმდენად იმის მეგობარი ხელს არაფერს ჰკიდებდა, თითქოს პურ-ნაჭამი ყოვილიყო და მსუქანს ვახშამს გული კიდევ აესუყებინოს.

— შექამე რამე, — ურჩია მურთუხამ.

— არ მშინ, — მოკლედ უპასუხა ამხანაგმა.

— მაინც შექამე... მგზავრობაში დრო უნდა დაათასო, თორემ ისეთს ადგილს მოგშივა, სადაც ევლარას ვიშოვიო.

სულთიმ აიღო რამდენიმე ლუქმა, გაძიგნა, მაგრამ მაშინვე თავი დაანება, რადგანაც ყელში არ ჩასდიოდა.

ისა ხედავდა, რომ სიციას საქმელისთვის ხელი არ ეხლო და ისევ ისე გაუძირველად იჯდა; სულთის

გულს უთუთქავდა სიციას მოწყენა და რალა საქმლისა სცხელოდა.

შეყვარებული ჩიჩინი ლმერთს ევედრებოდა, რომ იმის ამხანაგს ჩქარა გაეთავებინა პურის ქამა და თავიდგან მოშორებოდა; მაგრამ მურთუხა თითქოს გასჯიბრებოდა და სიტყვა მიეცა, რომ არ გამძღარიყო: დამშეული ძალზედ ილუკმებოდა და ხორც-გაცლილს ძელებს აქეთ-იქით ისროდა.

ბოლოს ისიც გაძლა და ძალზედ ამოიქმინა; ქონიანი ხელები ტყავის პაქიებზედ გაიწმინდა და წამოდგა.

— ცხენებს ცოტა იქით გადაერეკე, — დაიწყო იმან, — იქ უფრო შალდაყი*) ბალახია.

— შენ იცი, — უპასუხა გახურებულმა სულთიმ.

მურთუხამ, როგორცა სთქვა, ისეც აასრულა: ცხენები დაირეკა და იქვე მახლობელს ბეგს გადააცილა.

სულთიმ, რომელიც წუთს წინედ ამხანაგის მოშორებას ნატრობდა, ესლა აღარ იცოდა, რა ექნა და კარგა

*) მაღალი და ნოყიერი.

*) იხ. «დროება» № 185.

მთავრობას წარუდგინა. ამისთანა მომჭირნე ინჟინერს კომისიისაგან ჯილდოდ საყვედური მოუწია და საკვლავოდ უნდა გამოესალმოს თავის საქმეს, — არც ერთს ვერს იმას გასაკეთებლად აღარაფერ ჩააბარებს. მართლაც და ხუმრობა კომისიის ასე შეურაცხყოფა! კომისიაში მართლა ისე უგუნურები ხომ არ ისხდებოდნენ, რომ ანგარიში არა ცოდნოდ და ვერ შეეცდნენ რომელ საქმეს რამდენი მოუწოდებოდა. ახალგაზდა და ჯერედ ცხოვრების უცოდინარ ინჟინერისათვის ეს კაი სასჯელი იქნება, რადგან იმან თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს, რომ ყოველს საქმეში, მოსალოდნელი ხარჯს გარდა, ბევრი მოულოდნელი ხარჯიც არის და ვინც ამ ხარჯს სახეში არ მიიღებს, იმას ეს დაუსჯელად არ ჩაუვლის.

მთქვანთ, გაკეთდა გზა, დარჩა მხოლოდ რამდენიმე ვერსი; გამოცდილის ინჟინერის თვალი ჰხედდა, რომ ამ გზის გაყვანის შემდეგ რიგიანს საქმეს ვეღარსად ჩაიგდებს მალე ხელში და აი დარჩომილს რამდენიმე ვერსს დაკვირვებით დაუწყებს სინჯვას. მართლაც, აქ გზა როგორღაც ვერა ხერხდება, ან კლდეა იმისთანა, რომ დიდძალი მუშაობა და თოფის წამალი დასჭირდება, ან მიწა ისეთი ფხვიერია, რომ უეჭველად კვერდზედ ქვითკირის გაღაფან უნდა ამოუშენდეს; მაგრამ ყველას ის ემჯობინება სხვა მიმართულება აირჩიონ და საქმე თავიდაპირ დაიწყონ და აი ძველის გზის გასწვრივ ინჟინერი იჩივებს მეორე მიმართულებას და შეუდგება მეორე გზის გაყვანას. შეიძლება მასუკან ეს გზაც უხვირო ამოჩნდეს და მესამე მიმართულება აირჩიონ, მაგრამ აქ კული რა არის? ქვეყანაზე იმიტომაც ვცხოვრობთ, რომ თან და თან ქუთა ვის-

წავლოთ და შეძენილის გამოცდილებით ვინელომდევლოთ. ამ გზარ წესების წყალობით ხშირად შეხედებით შემდეგ სურათის ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს. მიღინართ გზა-ტყევილზე, და იმის გვერდით გველსავით მიიკლავება მეორე, ხშირად მესამე გზა-ტყევილიც, რომლის ბოლოც იკარგება სადღაც მინდვრებში, ქვიშიან უდაბნოებში მიმდინარე წყლებსავით. შინ მოსთვის რამოდენა ჯაფა და ფული მოაღამია ამ უმნიშვნელო და უთავბოლო გზების გაყვანას და, თქმა არ უნდა, ამისთანა ამბავი რომ არ მომხდარიყო, მალე ჩვენი ქვეყანა ყოველს კუთხეში მშვენიერის გზა-ტყევილებით აჭრელდებოდა.

შინაური ძროხი

სოფ. ღიმილამა გვეწერენ: თუმცა ჩვენი სოფელი თბილისს დაშორებული არ არის, მაგრამ ძალიან მოკლებულნი ვართ ადგილობრივის აღმონისტრაციის ყურადღებას: მაგალითად, დღემდის ჩვენში არაფერს უფიქრია სასოფლო სკოლის არსებობაზედ. მსლა კი, ჩვენდა სასიამოვნოდ, ოთხი პატიოსანი კაცი ამოირჩიეს დეპუტატებად და ამით მიენდოთ სოფლის გამგებლობა და სკოლის დაფუძნება; ესენიც ერთმანერთს შესთანხმდნენ და მოახდინეს შემდეგი განკარგულება: სოფელმა იყიდოს ის მამული, რომელიც ეკუთვნის განსვენებულს თ. ბრ. ბაგრატიონ-მუხრანსკის — ზვარი და სასახლე. ზვარის შემოსავლით მასწავლებლებს გაეისტუმრებთ და სასახლეს სკოლად და კანცელიარიად ექონიებთო. საზოგადოებაც თანახმა გახდა და ესლა საქმე სა-

ხანმა გამოიარა, რომ ისევ იმ ადგილს დაუქრებული და დაღონებული იჯდა.

სიცოცხლე ვახედავდა თუ არა, შეამჩნედა მწუხარებას და მკენესავი გული იმ ლომობიერებადის მიდიოდა, რომ მზად იყო ქალი უკან დაებრუნებინა, თავის სახლშივე მიეყვანა, ოღონდაც მისი სახე გაღიმებული ენახა.

სიცოცხლე მეტად ბევრი მღელვარება გამოიარა, რომ არ დასუსტებულიყო. მგზავრობამაც არა მცირედ დალადა და დასვენება ეჭირებოდა.

ძალს ძილმა დასძლია, წყნარად მიესვენა ხეს და თვალები დახუჭა. სულთიმ ვეღარ მოითმინა, წელა მივიდა და ქალის თავთან დაჩოქილმა სიყვარულიანის თვალებით ჩაიხედით დაუწყო ცქერა.

სიცოცხლე წყნარად სუნთქავდა და ცხვირის ნაზი ნესტოები ებერებოდა. ბატრეცილ სახეზედ ერთბაშად ფერმა შეითამაშა და თხელმა ტუჩებმა მომხიბლავად გაიღიმეს. მტყობოდა ბურანში წასულს ქალს, რაღაცა სასიამოვნო სურათი ეხატებოდა. ამ წუთებში სიცოცხლე მეტად ლამაზი, მეტად მიმზიდველი იყო და ძნელად დარჩე-

ბოდა ისეთი კაცი, რომელსაც ეს სურათი ენახა და ედემის სიამოვნება არ ეგრძნო, გონება არ არეოდა და დამთვრალსავით გაბრუებულს თავი არ დაეიწყებოდა.

სულთი გიჟდებოდა, იბნეოდა და ანგარიშ-მიუტყემლად, მოუაზრებლად ქალისკენ თავი თავის-თავად ეხრებოდა. მეტის სიამოვნებით ისიც ხან წითლდებოდა და ხან ისევ ფერსა ჰკარგავდა, თვალებს ჟუჟუნს და ელვარება ემატებოდა, გული ძალზედ მოძრაობდა და ქშენა უძლიერდებოდა.

მეტად მომხიბლავი იყო სიცოცხლე, რომ ჩვენს თავის შემაგრების ძალა შერჩნოდა. ის მიიზიდა რაღაცა უხილავმა ძალამ და თითონაც არ იცოდა, რა რიგად და რა დროს ქალის ტუჩებს დაეკონა.

ძალი შეკრთა, წამოიწია და ზიზღით ხელი ჰკრა სულთის, რომელიც პირველის წუთის სიამოვნებაში იყო და ჯერ კიდევ ვერ გამოარკვეულიყო.

— რას სჩადი, უნამუსო?
— იმას, რომ მიყვარხარ! — უპასუხა სულთიმ ქართულად, რადგანაც ქართული კარგად იცოდა.

ხელმწიფო ქონებათა გამგეობაში სწარმოობს.

სოფ. პარდნახ-დამ გვეწერენ: ჩვენში მღვდლებისთვის კოლის პურს ჩაფარ-გზირების შეწვობითა ჰკრეფენ, მაგრამ ყოველ დღე დილიდამ საღამოდის კანცელიარიის მახლობლად ისეთი ამბავი და ვაი ვაგლახი სდგას, რომ კოლის პურის მოკრეფა სწორედ უბედურება შეიქნა სოფლისათვის; სხვათა-შორის აქ არის ერთი სამოც-და-ათის წლის მთავარი, რომელსაც მესხიერება მოჰკლებია, აღარ ახსოვს ვის მისცა კვიტანცია და ვის არა, ასე რომ ზოგიერთებს ხელმოკრედ უყენებს სახლში ჩაფარს და გზირებს და ისე აწიოკებს. ეს არის მიზნეზი, რომ გლეხები ყოველ დღე უხტებიან მთავარს სახლში და ერთი ვაი ვაგლახი გააქეთ. ასეთი ქცევა გლეხისა, რასაკვირველია, ხელს აძლევს ჩაფარებს, რადგან ამით საშუალება ეძლევათ ბრალიან-უბრალოზედ გლეხკაცებს სახლში ჩაუდგნენ და იქამდის გაუჭირონ საქმე, სანამ კარგ სადილს ან ვახშამს არ ვაიკრეფენ, ან კიდევ სხვაფრივ არ დაჯილდოვდებიან.

20 სექტემბერს, პირველს საათზედ შეუდღის უკან, მოხდა წლიური კრება «პირუტყვთა მუარველ საზოგადოებისა», რომელზედაც საზოგადოების სეკრეტარმა წაიკითხა წლიური ანგარიში. ამ ანგარიშიდამა სჩანს, რომ ამ საზოგადოებას მოსკოვის გამოყენებულ მიუღია ოქროს მედალი და ლაწლიც ბევრი გაუწიო, საზოგადოებაში ჰუმანურ აზრების გაერთელებისათვის. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, დარიგდა რამდენიმე მედალი და ბ. ილინმა დაიწყო კითხვა თავის

— ბიყვარვარ და მაწვალე-კი!.. ფუი შენს კაცობას!

— ილახ! — წამოიძახა სულთიმ, — მე-კი არ ვიტანჯები?.. ლთის მადლმა, მეც ვიტანჯები, შენზედ მეტად ვიტანჯები!..

— ჩემზედ მეტად? — მწარედ გაიღიმა ქალმა.

— ჰაი, ჰაი რომ შენზედ მეტად!.. შენ რაი გიჭირს, ბედნიერო! — დაუმატა სიხუმის შემდეგ. — რასაც გინდა, იმას მიზამ... მაგრამ მე, მე რაღა მრჩება?.. წუხილი?.. წუხილი მთელს სიცოცხლეს?

— იყუჩე, ბიჭო!.. მაგით ვერ მომატყუებ... შენი ტყვე ვარ, ძალა გაქვს, რაიც გინდა, ის მიყავ, მოპალ, თუ გინდა, მაგრამ არ შეგიყვარებ, მეზიზღები.

— რაისთვი, რაი დავიშავე? — წარმოუთქმელის მწუხარებით წამოიძახა სულთიმ და ისე დაღონდა გმირის მზგავსი ვაჟაკი, ისე შეწუხდა, რომ ცრემლებიც-კი მოერია.

— რაისთვი მომხადე ლეჩაქი, რაისთვი საღეჭედ გამიხადე საქმე, რაისთვი მომიტაცე?..

— იმისთვის რომ მიყვარხარ!..

ლექციებისა — «ფრინველების მნიშვნელობაზე ბუნებაში»

«იურიდიკოსკოე ობოზრენიე» ნამდვილად გვატყობინებს, რომ ნოემბრის ნახევრიდამ ბ. სტეფანოვი გამოსცემს თბილისში ყოველ-დღიურ რუსულ გაზეთს: «Кавказское Обозрение» (ავეკასიის მიმოხილვა).

იმავე გაზეთსა სწერენ შოთილამ, რომ «რუსეთის საზოგადოება ნავოსნობისა და ვაჭრობისა» სრულებით შოთს ყურს აღარ უგდებსო. სტეცხლის გემები კვირაში მხოლოდ ერთხელ შემოდის და ისიც მაშინ, თუ ამინდმა ხელი შეუწყუო, მაშინ როდესაც იმისთანა მცირე პორტებში, როგორც მხემჩირია, ბუდაუთი, ადლერი, სოჩი და სხვ., კვირაში სამჯერ შედისო. ამას გარდა გადაწყვეტილი ფასი არა აქეთ, რომელს საქონელზედ ფუთზე რა აიღონო: ზოგისაგან 40 კაპ. იღებენ, ზოგისაგან 20 კაპ. და თუ შეევაჭრე ნაკლებსაც დაგჯერდებიანო. მაღლობა ლმერთსაო, რომ როდოკონაკის კამპანია ცდილობს ამ საზოგადოებას ცილობა გაუწიოსო და, ამბობენ, ბევრმა ფოთელმა, ზუგდიდელმა და ახალსენაკელმა ვაჭრებმა პირობა შეჰკრეს როდოკონაკის კამპანიასთან, რომ მისმა გემებმა ჰზიდონ ყოველთვის ამათი საქონელი შავს ზღვაზედ.

ჰაეახეთის ახალქალაქიდამა სწერენ «ავეკასს», რომ იქით მხარეს, მეტადრე დუბობორებში, ძალიან გავრცელებულა ბავშვების ავად-მყოფობა — დიფტერიტი და ბევრსა ჰხოცავსო. ავად-მყოფობა თვით ახალქალაქშიაც გაჩენილა.

ისე მიყვარხარ «ლთის» მადლმა, რომ ჩემსავით არაფერს ეყვარები.

ძალის გული მგრძნობიარეა, სულთის სიტყვებმა სიცოცხლე მიჯნური მით უფრო შეაბრალებს, რომ განთქმული ვაჟაკი, რომელიც ათასჯერ პირზედ ღიმილით სიკვდილს წინ შეგვებია, დღეს სიცოცხლე წინ შეშინებული, ალელებული, ფერ-წასული იდგა და თვალებში ცრემლი მოარეოდა. ჩემი სულს ძლივსლა იქცევა, ხმა უკანკალბდა და პირში სიტყვა უწყებოდა.

— ძალაუ! — ეუბნებოდა სულთი: პირველად როცა გნახე, ვიფიქრე — ლამაზია და ჩემი უნდა იქნას მეთქი, მაგრამ ქრისტიანი იყავ და ვიცოდი, არ მომცემდენ... რაღა მრჩებოდა, თუ არ მოგიტაცებდი?.. ვფიქრობდი, შენც შეგიყვარდებოდი; რჯული-კი საყვარლებს ვერ გააშორებს... ამაღ მოგიტაცე, ამაღ წამოგიყვანე და ესლა-კი ეხედაე, რომ მოგსტყუედი!..

— რაი გიყო, რაი ვქნა?
— მითხარ, რაისთვი მაწვალე?.. ცუდს რასა ხედაე ჩემში, მითხარ და გამოვიცვლები...
სულთი შეჩერდა და ქალის პა-

რუსეთი

— გაზ. «რუსკი ვურსას» ატყუბანებს, რომ მომავალს სოკუბურში ჰეტრუბურგში შეკრებუბიან ოლქის ჯარუბის გომანდირები.

— სმებია, რომ ჭილანდიაში ადუმრავთ ვითხვა სიკვდილით დასჯის მოსჯობის თაბაზუ.

— ჰეტრუბურგადამ იწურებან, რომ იქ შედგარა წრე თანხის ჰატრონი გბრავლებსაგან, რომელიც ცდილობს კრთი დიდი ადგილობრივი გაზეთი თითონ იქონიას. რაგორც ისმის, მათი მხარე ბერს გაკლებანს ჰირს უჭირავს თურმე. (18-001)

უცხოეთი

— მსპანიის ლიბერალურ ჟურნალგაზეთების ენერგიულს კილოს ბერმანასთან შეკავშირების წინააღმდეგ დიდი ზედ-მოქმედება მოუბდენია. სამინისტროს ორგანები, ის ცული შთაბეჭდილება რომ გააქარწყლონ, რომელიც ბერმანასთან კავშირის შეკვრის თაბაზუ გავრცელებულმა ხმებმა იქონია სხვა-და-სხვა პოლიტიკურს წრეებზე, ამბობენ, რომ მსპანიის მმართველობა თვის მოვალეობად რაცხს გაამტყუნოს ის ხმები, ვითომც მეფის პლჭონის ბერმანიაში მისვლას რაიმე პოლიტიკური ხასიათი ჰქონდეს. ისინი ამტკიცებენ, რომ არავითარი კავშირის პროექტი არ არსებობს ორთა სახელმწიფოთა შორის, თუმცა კი ბერმანიის, აესტრიის და ინგლისის ჟურნალგაზეთები ავრცელებენ ამავდ ხმებსაო. ბერ-

მანიის მწერლობას ჰსურს ეს ხმები ჭაქტად გარდაიქცეს, მაგრამ მსპანიის მმართველობას უნდა ყოველს ევროპიულ სახელმწიფოსთან მშვიდობიანად იცხოვროს და, რამდენადაც შესაძლო არს, დაენმაროს მეროპაში მშვიდობიანობის დაცვას და მსპანიაში მყუდროების მტკიცედ დამყარებასა, რომ შეეძლოს მის თვის ლიბერალური პოლიტიკის განგრძობაო.

— ბუშინწინ დელს №-ში გეკონდა მოყვანილი ცნობა, რომ გენერალმა ღრაგომიროვმა პარიჟში გამართულს ბანკეტზე დალია სატრანგეთის სადღეგრძელო და ბოკალი გასტეხაო. მსლა კიდევ ვკითხულობთ გაზეთებში, რომ ამის გარდა ღრაგომიროვმა საფრანგეთის გენარლების ყრილობაში ომის სურვილი განაცხადაო. «ქგასაკვირველი არა არის, თუ გულადს გენერალს ჩხუბი უნდაო, ომი იმის პროჭვისა არის და ეხლან დელს დროში კაცობრობის სისხლის ღვრით ცილობა მოდა არისო», — უმატებენ გაზეთები.

— მიკტორ ჰიუგს ახალი მოთხრობის ბეჭედა დაუწყეათ 7 სექტემბრიდამ შემდეგი სათაურით: «ლამან მის არხიველაგია». ამ მოთხრობაში სოფლის სურათები და ფილოსოფიური მოსაზრებანი შერეულია ერთად იმ კუნძულების ლეგენდებთან და ისტორიებთან, რომლებზედაც პოეტმა, ნებაყოფლობით ლტოლიელმა, დაჰყო 18 წელიწადი.

სიციამ შებრალეზულის თვალეზობით შეხედა და პირისახეზედ დაეტყო, რომ ისიც სულთიხედ ნაკლებად არ იტანჯებოდა, მაგრამ სანუგეშო პასუხი-კი ვერ მოხერხებინა.

— მითხარ, მითხარ, — მოუხენერად ჩასჩურჩილებდა და ხმა ელეოდა.

— რაი ვითხრა... რაი ექნა? — მწარედ და ნაღელიანად წარმოსტევა სიციამ.

— იქნება, ეგეც ცოტაა? — წამოიძახა სულთიმ. — მაშ რაღა მეწამლევა, რაი-ღა მეშველება?.. ის მაინც მითხარ, ამ კლდიდგან გადაეხტე და გადაეხტები.

როდესაც სიციამ მოიტაცეს ეგონა, რომ პირველს ავაზაკებს შეხედა, რომელნიც არც ხეწნას, არც მუდარას არ შეისმენდენ, არც იმის ყმაწვილ ქალობას შეიბრალეზდენ, ეგონა, რომ წაიყვანდენ, მოხდიდენ ლეჩაქს, გააწბილებდენ და საქმით სულ სხვა გამოვიდა. სულთიმ, მართალია, გაიტაცა, ძალათი წაიყვანა, მაგრამ როდესაც უპატრონო ხელში ჰყვანდა, როდესაც ყოველი თვისი განზრახვა შეეძლო აესრულებინა, გამძინვარებული, გრძობით დამთვრალი კაცი იმის წინ წყნარად, და

წმინდი რედაქტორიან.

პასუხი თელაველ მეტელტონეს ბ. ჭონსა.

ვისაც ვინ სძელს, მისი ლაპარაკი რახარუნია, პურის ჭამა ჭლავა-ჭლუპია. ანდაზა.

ბ. რედაქტორო! «დროების» 151 №-ში იყო დაბეჭდილი ბ. ჭონის კორესპონდენცია ბ. ჭონი, როგორც ეტყობა, ეკუთვნის იმისთანა პირებს, რომელთაც წინააღმდეგ შედგენილი აქვსთ ვისზედა და რა დასწრონ. ესენი რომელსამე კრებაზედა ან თვალსაფერისად ესწრობან, ან სხვის სიტყვით გადაცემულსადაც დაკმაყოფილებიან, რადგან თავიანთ სათქმელი, წინააღმდეგ გულში აქვსთ გამოხატული და სხვა ახალი ჭაქტები მათთვის საჭირო აღარ არის. აი, ერთი ამგვარ პირთაგანი შეიძლის წადაში თავის დროებითი ამქრებით. მათ წინააღმდეგ განსაზღვრული აქვსთ, რომ დღეს დეპოს თაბაზუდა არის კრება და, უჭკეულია, რომ ესა და ეს პირი ილაპარაკებს ვისსამე ანუ რისამე წინააღმდეგ და აწერას შენ იტი, ჯავრის ამოყრისათვის უგეტეს დროს ვერ შეხედები. ესრეთი წინასიტუვაობა საჭირო არ უნდა იყოს სხვა დროს და ადგილს მკითხველისათვის, მაგრამ ესლა ვი ჭეშმარიტების გამოკვლევისათვის აუცილებელია.

პირველი საგანი თელავის დეპოს კრებისა თავმჯდომარისა და საქმის-მწარმოებლის ადმონჩევა უნდა ყოფილიყო. მტრე სიჩუმის შემდეგ, წადაში მოისმა ორი კაცის სახელი — ერთი ჩუმი და მეორე მ. ჰ. ანდრონიკაშვილისა. ამ უგანასხველმა უგნსოდ დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი და სხვა ჩამი-ჩუმი აღარა ყოფილა-რა თავმჯდომარის ამონჩევაზედა. წესდება ვი მკითხვავდა, რომ კესტით ყოფილიყო ადმონჩევა როგორც თავმჯდომარისა, ეგრეთვე საქმის-მწარ-

მოწიწებით იდგა და ეიხედაც ძალის ხმარება შეეძლო, იმასვე მოწყალეებასა სთხოვდა.

შეტად ჩქარი იყო ცელილება, რომ ამ საქციელს ქალზედა მოქმედება არა ჰქონოდა და სიბრალულს არ აეტანა. მაგრამ რა უნდა ექნა?.. ბეჯია აგონდებოდა, ბეჯია უყვარდა და ახლის წყობილებით ჯერედ გაურყენელს გულს ორის ერთად სიყვარული კი ვერ მოხერხებინა.

— სულთიმ! შენ ძმა და მე და, — ერთბაშად წამოიძახა ქალმა.

— მ-ოხს! — მწარედ ამოიკენესა ჩეჩენმა და თავი ჩაჰკიდა. — არ გებრალეები?

— მებრალეები, ღთის მადლმა! მაგრამ ცხო მიყვარს.

— მ-ოხს! — კიდევ ძალზედა ამოიოხნრა სულთიმ და თითქოს გული თან ამოაყოლა.

ძარგა ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, ევლარც ერთს ლაპარაკი ვეღარ მოეხერხებინა. მით სუნთქეც-კი თითქმის შეუწყდათ და მარტო გულის ხან-გამოშვებითი აჩქარებული ცემა მოისმოდა.

ერთბაშად გამოისმა ქვითინი, მწარე მღელვარე, აღგზნებული, მაგრამ ეს იყო ერთს წუთს, ერთს წამს. მს

მოებლისა. ბედგრული წყნარე შეხედული ამისა, ამავად გეგმეხედა! წყნარე პირველი გამარჯვება (!) დეპოს მომხრეების მხრივ. გარეშე პირს ეგონება ერთი დიდი აზრების და კენჭების ჯასაჯუსი იქმნებოდაო; მაგრამ ეს მხოლოდ ჭონების სელაფების შედეგი გასლავთ, მე სხვას ვერას მივაწერ.

სხდომის გასსნის შემდეგ, გამგებობის თავმჯდომარემ ი. წარაფოვამ წაიკითხა წლეურა ანგარიში, რომელიც არის მოყვანილი თვით ჭონისაგან. ამის შემდეგ იწვეს წკურთა მსჯელობა ანგარიშის შესახებ. ამ მსჯელობაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. ყველსაზედა მეტს ლაპარაკებდა ამ დროს თვით კრების თავმჯდომარე მ. ჰ. ანდრონიკაშვილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ წარმოდგენილის ანგარიშის მისედულობით უფრო წარალი აქვს სასოციალუბას, ვიდრე მოკება, და ესრეთი დასკვნა იქიდა ამ გამჯეჯვანდა მას, რომ დეპოს ავეჯი და გაუყიდავი საქონელი წასყიდობაზედაც არის წანგარიშები, რადესაც ესენი იმავე ფასად ვეღარ გაიყიდება ესლა. მაინც ამის აზრი არ მიიდეს და მოკება ისე მოკებად აღიარეს. აი ამ დროს, რადესაც თავმჯდომარემ თანამაზრე ვერავინ იხილა, მომობრუნდა მე და მკითხა, თქვენ რაღას იტყვიით? ამ დრომდე მე ხმა არ ამომიღია. ესლა ვი ვუპასუხე, რომ მე ჩემის დუმილით ვიღებ წარმოდგენილს ანგარიშს და მის დამტკიცების წინააღმდეგ არაფერს ვამბობ. ესლა რას გეტყუვის ბ. ჭონი, თავმჯდომარე კრებისა რომელს წრეს ეკუთვნის: დეპოს მოკეთეთა, თუ მოდალატეთა? — მოდალატეთა, რადგან გამგებობის წინააღმდეგ მოკების მაგერ წარაღას ამტკიცებდა. ბ. ჭონი კი არ ვიცი თი რომელი სასწოროთ ასწონს მის მოქმედებას და რომელს მხარეს აღიარ-

იყო სულთისგან თვის თავზედა ძალდატანება, რომელსაც გრძობა უნდა გადაემტერია. მასუკან ერთბაშად შესდგა, გასწორდა წელში, მოიწურა თვალები და რამდენჯერმე შუბლზედა და პირისახეზედა ხელი ჩამოისრა, თითქოს მით მწუხარე აზრები თავიდგან უნდა მოემორებინა.

მერე მივიდა სიციასთან და წყნარად დამშვიდებულმა, თუმცა წარმოუთქმელის ნაღელიანის ხმით, უთხრა:

— ღაო, მითხარ, საით წავიყვანო?

სიციამ სიხარულით დაიბნა, დაიყვირა და სულთის გადაენგია.

ძალის მიკარებაში სულთის თავი დააიწყა ერთს წამს, მხოლოდ ერთს წამს გრძობამ გაიტაცა და მთრთოლარეს ხელებით მიიკრა ძალზედა აღელვებულს გულთან. თავი წყნარად მოეხარა, ტურები შეაღერსებას აპირებდენ, მაგრამ იმ წამში შეკრთა, უკან წაბარბაცდა და თავშეკავებულმა ხელების მიშველებით ქალი შეაყვანა.

— ღაო, მითხარ, მითხარ, საით წავიყვანო.

ა. მოხუბაროძე. (შემდეგი იქნება)

სებს ადვილად ამით გათავდა პირველი მუსლი გამკუობის წინადადებათა.

მეორე მუსლი წინადადების თეო სს-ში თუშის ფილდოდ მიღებას წაჭი-ნამისათვის, რადგან ამას უფასოდ უმ-სახურნა სასოგადოებისათვის ეჭვის თვის განმარტებაში. მე ამის შესახებ ვილაშარავ იმისთვის ვი არა, ვითომც მე შერთა რაიმე მდებარე გულში ან გამკუობისა, ან სასოგადოებისა და ან ჭიჭინამისა, როგორც თქნებობს ბ. ჭი-ნი. არა, მე მხოლოდ ის მინდა, რომ სასოგადოებას პრინციპიალურად გაესინჯა წამოყენებული ვითება და რომ მესამე საფეხელან დასკვნამდე მისუ-ლიყო. ამის მიზეზით აი მე რა ვსთქვი დასწლოებით: «თუ ბ. ჭიჭინამე გა-დასწვებდა სასოგადოებისთვის სამსა-სური უნაგროდ და გამკუობას ესრეთი სურვილი გამოუცხადა, ამის შემდეგ ამის-თანა ვილდო და ამ მოკლე ხანში სა-თავილად უნდა მიიღოს, განსაკუთრე-ბით მაშინ, როდესაც ეს არის უგანსა-სული ფული სასოგადოების დეპოსი-ტებისა (ერთმა წვერთაგანმა ამ დროს ვიდეც სთქვა, რომ ბ. ჭიჭინამე, რო-გორც მე იმას ვიცი, არ მიიღებს ამ ფულსა), და თუ გამკუობას პირობა ჰქონდა აღნიშნულ პირობა რაიმე ფილ-დოსი, მე მავის წინადადებას ვერ ვიტუ-ვი ვცხადებ ვი, რომ მხოლოდ ბ. ჭი-ჭინამეს არ მიუძღვის სასოგადოების წინაშე შრომა, არამედ სხვებსაც. როდესაც ერთმა გამკუობის წვერთაგანმა იკით-ხა, თუ ვინა მუგვს სახეში, მე მივეუთა-თე თვით გამკუობის წვერებს (ბ. ჭიჭინა ვი ეს ვერ ვაუგია) და ვსთქვი, რომ ჩემის ფიქრით გამკუობის წვერთ მძიმე შრომა მიუძღვით და თუ დაჯილ-დობას შეიძებს სასოგადოებას, ვეველას უნდა მიეცეს თავისი ხეიდრი ფილდო, მაგრამ რა უნდა იყოს ამისთვის 38 მ. 49 გ? თუ ჭიჭინამეს შრომა ანუ, იმის მსგავსისა, აუცილებელ საჭიროებას შეად-გენდა, უკეთესი იქნებოდა, ამისთანა პი-რობი წინადადეგადსაგრილის ჯამაგირით ყო-ფილიყო დასწრილი და არა მუქთად. ამის წინადადეგ მე მიმასუსეს, რომ რა ვიცოდით, თუ მოგება გვექმნებოდა და არა წარალით. უგანსაგულ შემთხვევაში საიღამ მიგვეცა ჯამაგირით? აუცილებელ საჭიროების გულისთვის, ვსთქვი მე, გამკუობას სრული ნება აქვს სასოგადოე-ბის თანხილამ დაჭყაროს ყოველივე გა-საკვადი, ხოლო წლის ანგარიშის დროს ამისთანა ხარჯის შეგებას. § 61 წეს-დების მიხედვით, შეიძლება სასოგადოე-ტებისადმი. თუ, ვინიცობა, ამავე მიზე-ზით წილის ფულსაც მოაკლდა, მაშინ თვით ეს წილის ფული უნდა შეიკოს წვერთაგან, ვეველს მოსამსახურე პირო-ბი ჯამაგირით უნდა იყოს დასწრილი და ამ-გვარად შანათის მთხრობობისაგან უნდა იყენს განთავისუფლებულნი თვით სასოგადოებას და მისნი მოხელენიც. აი საგანი და ვილო ჩემის დასწარვისა, რომელიც იყო გამოწვეული ზემოთ ნაჩ-ვერები წინადადებისაგან. თუ როგორ

ამისთვის ბ. ჭიჭინამეს ნადაპირველს მეთისველი თვით მისვლას. ან რა პი-რობება უნდა შეინდოს მე ჭიჭინამისთან, რომ არ მინდადეს მისი შრომის და ფილდოება.

ბ. შიგარულივილი

(შემდეგი იქნება)

განსხილება

მასწავლებელი ქალი ქ. შტთანში იყენს ვაყებს მოსამზადებლად საშე-ლო სასწავლებლებში, როგორც დღე და ღამე, ივრეთვე ცალკე გაკვეთი-ლებით. ბანა აქვს საკნაზო ქუჩაზე, საქალაქო გიმნაზიის პირ-და-პირ, ი. მხედის სახლში. შასი ზომიერია. (3-3)

შამოვიდა და ისყიდება «Первый Шаг» — რუსული ენის სახელ-მძღვა-ნელი ქართულ სკოლებში სახმარებ-ლად, შედ. აღნიშნულისაგან; ისყიდე-ბა ცენტრალურ წიგნის საფაროში, ფასი 40 კაპ. (6-2)

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იხალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, შორანცივის ძეგლის (პამიატიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში. ნომრები მშვენიერად მოართულია ელექტრიკის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქ-მელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია. სასტუმროს ზატრანი ბ. სარქისოვი. (30-7)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შუადარო ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუვეთესო 2—	— — 3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თო-ფები, რეკლავები, ვარჯიშები, ჭურ-ჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დახები, გოგულები, ტანტები, გაღებები, ქაღალდი, შოკოლადი, გაგაო, განფეტები, მურაბე-ბი, მავნეზია, უნაგირები, კლეონგა, წინდები—გაცის და ქალის, ხელ-სახო-ცები, მაგინტოშინ კალენგორი — სულ ვეველასფერი 25-დამ 50 შროტენტიით უფ-რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსავე მა-ღაზიაში.

ვინც ქაღალს გარედამ 25 მანეთადამ 1,000 მანეთადამ საქონელს გამოი-წესს, გასაკვანს არაფერს არ ის-ღის. (100-40)

სტამბა
 ვითივი ივ. ხელაძისა.
 თბილისი. ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენახში.


იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდა-ვად: ვაზეთებს, ქერნალებს, წიგნებს, ბროშურებს, ავრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სროტებს, განცხადე-ბებს, აფიშებს, პირობებს, და სხვ.

სისეფთავე და ადნიშნულ დროზე საქმის შე-სრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.


სტამბა გისრელობს კორრექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთე ზაგაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვინოვთ ამ ადრესით მომმართოთ.
 Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100-21)

ინგლისის მალაზიაში

თიის - ანოჟიანი  **გაპ - მასტარი**

ამაგრებს თმას და აღნიშნულ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-სა 2 მან., გაგვანით 2 მანეთი და 28 კაპ. (100-45)

საგლობუსო  **კალმები**

რომლებთანა შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო — ინგლისის მალაზია. იქვეა აწარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოკალის „ხელისათვის“ — 25⁰/₁₀ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, განვერტები, რეკლავები, დაქი, ვარანდაში, პენალი, კალმები, ბუძაუნაგები, შორ-სივარები, აღბომები, რამები, მაგარტლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარამებები ჭურჭლების საწმედად (ბორაგია), თეთრეულისათვის, ზატრან ხალესი, იატაკისათვის კლიონები, ტანტები, სავარდები, სარკები, სავარტლები, ბესმე-ნნი, ხარები, ბინაგლები რეკლავები, ვატრეზასები, მზის-სათება, ვომპასები, ტარმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მავნეზია, სვისტოები, შომანი, ქამრები, სარტლები. საყულონი, პრამები, საშრობები, ვარანები, ფილტრები, შოტრები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და ზატრანის მაგინტოშები, ვარაგები, საყვირო ქაღალდი ვატრ-კლავსებისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშვი — 20 კ. (100-86)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამ-დე 1883 წ.

გამომცხვარი შური რუ-სეთის ფეჭილისა — 1 გირ. 5 კ.

აჭაურის ფეჭილისა: შირ-ველის ხარისისა — 1 გ. 2 1/2

მეორისა — — 1 გ. 2 კ.

იმავე ფეჭილ. თორნეში გამომცხვარი:

შირველის ხარისისა — 1 გ. 5 კ.

მეორისა — — 1 გ. 3 კ.

მესამისა — — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის შური:

შირველის ხარის. ლავში 1 გ. 5 კ.

მეორის ხარის. ლავში 1 გ. 3 კ.

მესამისა — — 1 გ. 2 1/2

ძროხის ხორცი:

შირველის ხარისისა — 1 გ. 8 კ.

მეორისა — — 1 გ. 7 კ.

სუვი . . . — 1 გ. 15 კ.

ცხურის ხორცი — 1 გ. 8 კ.

რეინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდამ მომავალ, თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.